პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 14 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

182 (880)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## შვებული-წითელ არმიელის კულტურული მუშაობა სოფლად.

ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა დაგვიტოვა ანდერძი, რათა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მთელ საბჭოთა ქვეყანაში არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი.

ეს მეტად რთული და ძნელი ამოცანა არის, ვინაიდან საბჭოთა კავშირში მოსახლეობის დიდი რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარია. ამის მიზეზია თვითმპყრობელობა და ბურჟუაზიის ბატონობა. მეფე და მემამულე ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ დაეშორებიათ მშრომელი ხალხი სკოლასა და განათლებას.

მათთვის საჭირო იყო, რომ მუშები და გლეხები უვიცნი ყოფილიყვნენ, რადგან მათი გაყვლეფა და დამონავება მაშინ ადვილი იქნებოდა.

მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც დალეწა მონობის და ჩაგვრის ტახტი, ფართედ გაუხსნა გზა მშრომელ ხალხს სწავლისა და განათლებისაკენ.

უნდა ითქვას რომ ჩვენ წინსვლას სოციალიზმისკენ ხელს დიდათ უშლის ეკონომიურ ჩამორჩენილობასთან ერთად ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობაც. უვიცობა, წერა-კითხვის უცოდინარეობა, არსწმუნოება, გონებრივი სიბნელე—ყოველივე ეს მშრომელი ხალხის მტერია. ამიტომაც რომ უფრო დავაჩქაროთ სოციალიზმის განხორციელების საქმე საჭიროა მტკიცედ და შეურყევლად ვებრძოლოთ უკულტურობას და პირველ ყოვლისა კი წერა-კითხვის უცოდინარეობას. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე ღონისძიებას ხმარობს პირნათლად შეასრულოს თავისი ბელადის ანდერძი. მაგრამ მარტო ის ვერრას გახდება თუ მას არ გამოეხმაურა მშრომელთა მასა, თუ ამ საქმეში მას არ დაეხმარა ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი. ამაში მას აგრეთვე უნდა დაეხმაროს უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელი. ის მხნედ უნდა ამოუდგეს პარტიას, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ყოველ მხრივ დაეხმაროს მათ არა მარტო წერა კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციაში, არამედ მთელი კულტურულ მუშაობაში. შვებულმა წითელ არმიელმა უნდა მიიზიდოს წერა-კითხვის სწავლებაში ყველა თავისი უცოდინარი მეზობლები, მოაწყოს ქოხ-სამკითხველო, მიაჩვიოს გლეხობა ჟურნალ-გაზეთების კითხვას და ფართედ გაავრცელოს წიგნი სოფელში.

შვებულებაში მიმავალ—წითელ არმიელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქოხ-სამკითხველოებს, რომელთა უმრავლესობა ვერ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, ცუდათაა მოწყობილი, მოწყვეტილია მასას და ზოგ შემთხვევაშიც კი სრულიად არ არსებობს.

ამიტომ თავისი კულტურულ მუშაობის ერთ-ერთ პირველ ამოცანად შვებულმა წითელ-არმიელმა უნდა დაისახოს ქოხ-სამკითხველოს შექმნა და მისი სათანადოთ მოწყობა. მან უნდა მიაღწიოს მას, რომ ქოხ-სამკითხველო გარდაიქცეს გლეხობის საყვარელ ადგილად, სადაც ისინი მიიღებენ ყოველგვარ პასუხს მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ერთი სიტყვით კულტურულ მუშაობის ყოველ დარგში შვებული—წითელ არმიელი უნდა იყოს მუდამ პ რველი და აქტიური მოღვაწე.

## ინგლისის იმპერიალიზმი და მოსული.

რასაც კი ჩასჭიდებს ხელს მტაცებლური ინგლისის იმპერიალიზმი, იმას უკვე თავისი ნებით ხელს აღარ გაუშვებს. ამ შემთხვევაში მისი გაუმაძღრობის მსხვერპლია მოსულის რაიონი მცირე აზიაში.

მოსული მდიდარია ნავთის წყაროებით. ნავთი კი იზიდავს თავისკენ ყველა ჯურის იმპერიალისტებს, ისე როგორც თაფლი ფუტკარს. მოსულზე დიდი ხანია მიჩერებული აქვთ თვალები ინგლისის, ამერიკის და გერმანიის კაპიტალისტებს.

მაგრამ ყველაზედ მეტად მოწადინებულია ეს ნავთით მდიდარი რაიონი ხელთ იგდოს ინგლისმა. ამაში კი მას ხელს უშლის ოსმალეთი.

წინად მოსული ეკუთვნოდა ოსმალეთს.

ხოლო იმპერიალისტური ომის დროს ის მიისაკუთრა ინგლისმა, თუმცა ამის დასტური სხვა ქვეყნებისაგან არ მიუღია.

1920 წელში ინგლისმა ერთა ლიგის წყალობით შეიძინა ახალი კოლონია (ახალშენი) მესოპოტამიის (მცირე აზიაში) ანუ ირაქის სახით. ეს ირაქი მოსულის მეზობლად მდებარეობს. მაგრამ ინგლისი დაინტერესებულია მოსულიც მიიღოს.

ის მოითხოვს, რათა მოსული შევიდეს ირაქის ტერიტორიის შემადგენლობაში. მაგრამ ახალგაზრდა ოსმალეთის რესპუბლიკა დაჟინებით მოითხოვს მოსულის დაბრუნებას მისთვის.

აღსანიშნავია ის რომ, ინგლისელებმა ყოველგვარ ხერხს მიმართეს, რათა მოეჩვენებიათ სხვებისთვის, რომ მოსულის მოსახლეობა უკმაყოფილოა ოსმალეთით და მომხრეა ინგლისის. ამ მიზნით ინგლისელებმა არა ერთხელ მოაწყვეს „აჯანყებები“ მოსულში ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ ინგლისის იმპერიალისტების სამწუხაროდ უფრო ხშირად ხდებოდა ნამდვილი აჯანყებები ირაქსა და მოსულში თვით ინგლისელების წინააღმდეგ.

მოსულის საკითხის გადასაჭრელად ეს ერთი წელია მუშაობს ერთა ლიგის კომისია. მან უნდა გადასჭრას, თუ ვის უნდა დარჩეს მოსული. იმ თავითვე ცხადი იყო, რომ ეს კომისია ინგლისის სასარგებლოდ გადასჭრიდა საკითხს. დღევანდელი რადიო ამას სავსებით ადასტურებს.

კომისიამ გამოიტანა ის დასკვნა, რომ მოსული შეუერთდეს ირაქს.

ამრიგად ინგლისის იმპერიალიზმმა ერთა ლიგის კურთხევით კიდევ ერთი გემრიელი ლუკმა იგდო ხელში.

მაგრამ არც ისე ბევრი ხანი დარჩენია მის თავაშვებულ ავაზაკურ თარეშს დამონავებულ აღმოსავლეთში.

აჯანყების პირველი ტალღები უკვე მოედო დაჩაგრულ კოლონიებს და ეს ტალღები მოსულისა და ინგლისის სხვა კოლონიების კარებამდე მიაღწევს.

—ი.

# ახალი რადიო-ამბები

## ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის გარშემო.

საფრანგეთის და ინგლისის მინისტრების ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის ცნობას საფრანგეთში კმაყოფილებით შეხვდენ, ვინაიდან საფრანგეთს სურს ინგლისთან შეთანხმება დაიტოვოს მოქმედების თავისუფლების უფლება პოლონეთის მიმართ.

მაგრამ ერთგვარი შიშით უყურებენ პიროპებს გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთი მზადაა ერთგვარ დათმობას დაადეს ამ საკითხში და დასძენენ, რომ ინგლისმა არ უნდა დაივიწყოს თავისი საკუთარი მდგომარეობა, რომელიც უკარნახებს მას შეთანხმებას.

## ინგლისის გაზეთები საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონის პრესის აზრით საგარანტიო ხელშეკრულების საკითხში უძნელესი მუხლი ეს არის საფრანგეთის მოთხოვნილება მიეცეს დამოუკიდებელი ზომების უფლება გერმანიის წინააღმდეგ, თუ რომ უკანასკნელი დაარღვევს საგარანტიო ხელშეკრულებას. ამ მოთხოვნილიბის წინააღმდეგ მიდის ინგლისი, რომელიც ამბობს, რომ გადამწყვეტი ხმის უფლება ამ შემთხვევაში უნდა ეკუთვნოდეს ერთალიგასო.

## გაფიცვები ინგლისში.

ამმანფორდში (ინგლისში) რამოდენიმე დღეა გაფიცულია 20.000 ანტრაციტის (საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი) მუშა. მეპატრონეები სცდილობენ ლიკვიდაცია გაუკეთონ გაფიცვებს, მაგრამ მუშები მტკიცედ დგიან თავისას. მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ მათ გადასწყვიტეს დახურონ ის მაღაროები, სადაც ადგილი ექნება გაფიცვებს.

## ინგლისის რადიო-საზოგადოების წინადადება.

ინგლისის რადიო საზოგადოებამ წინადადება მისცა რადიო-გადაცემის საზოგადოების თავმჯდომარეს მოაწყოს მოსკოვის რადიო-კონცერტების გადაცემა ინგლისში.

## საფრანგეთში გაიფიცა 30.000 ბანკის მოსამსახურე.

ამჟამად საფრანგეთში გაფიცულია 30.000 ბანკის მოსამსახურე.

პარიზში გაიმართა გაფიცვების მონაწილეთა მიტინგი. მიტინგის დასასრულ პოლიცია თავს დაესხა მიტინგის მონაწილეთ და გარეკა ისინი ხელკეტებით.

განაპირა ადგილებში გაფიცვები თანდათან ფართოვდება.

## ბელგიის მელითონე მუშათა გაფიცვები.

### შემთანხმებელი ბელადები.

ბელგიის მელითონე მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვების გამოცხადება. პროფკავშირთა შემთანხმებელ ბელადებსა და მეპატრონეებში გაჩნდა ყაყანი.

შემთანხმებლების მოთხოვნით შემდგარი იქნება შერეული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს შექმნილი მდგომარეობა და ამით აიძულონ მეპატრონეები დაუთმონ მუშებს მთავრობის დახმარების ხარჯზე.

## რადიჩის პარტიიდან გასულები.

რადიჩის პარტიიდან გამოსულმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ხორვატიის გლეხთა პარტიის ძველი პოლიტიკა იაკოტიჩის ხელმძღვანელობით, დაარსონ დეპუტატთა საკუთარი კლუბი და გამოსცენ კვირეული გაზეთი „რესპუბლიკანსკასლოგა.“

## ევროპის ირგვლივ ფრენა.

ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის მფრინავმა აროშარმა მშვიდობიანად დაასრულა ევროპას ირგვლივ ფრენა 12 აგვისტოს და ჩაფრინდა პარიზში.

ორშაბათს, 17 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. მოხსენება ტფილისის მაზრაში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება საზოგადო სამუშაოების მსვლელობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# ᲢᲝᲙᲘᲝ-ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ.

11 აგვისტოს იაპონიის თვითმფრინავები გაფრინდენ კრასნოიარსკიდან ნოვო-ნიკოლაევსკში, მაგრამ ცუდი ამინდის გამო დაეშვენ აჩინსკში. თვითმფრინავები ორჯერ შეეცადენ ნოვო-ნიკოლაევსკამდი მიღწევას, მაგრამ კვლავ ხელი შეუშალათ ცუდმა ამინდმა და მასთან ბენზინიც გამოელიათ. ამჟამად თვითმფრინავები აჩინსკში იმყოფებიან.



ბრეგეს თვითმფრინავი, რომლის მატორის ძალა უდრის 400 ცხენის ძალას. ამ სისტემის ორი თვითმფრინავზე სწარმოებს ტოკიო მოსკოვის გადაფრენა.

# ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ.

მღელვარების დროს მოჰკლეს ერთი, დასჭრეს მრავალი პოლიტ-პატიმრები.

სწარმოებს კომკავშირის წევრთა მასიური დაპატიმრება.

სასტიკი რეჟიმის გამო ლუცკის პოლიტიკურ პატიმრებში იფეთქა მღელვარებამ. ციხეში იმყოფება 200 პოლიტ პატიმარი. ადმინისტრაციამ მიმართა შეიარაღებულ ძალებს. მოკლულ იქნა ერთი პოლიტ-პატიმარი, ბევრი მძიმედ დაიჭრა. მძიმედ სცემეს 10 პატიმარს და შემდეგ ბორკილ შეყრილები დაამწყვდიეს საკანში.

ლვოვში და ლუცკში სწარმოებს კომკავშირის წევრობაში შემჩნეულ ახალგაზრდობის დაპატიმრება.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲝ-ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲡᲙᲨᲘ.

ოფერჰაგენის განცხადება.

დელეგაცია დაესწრო საგუბერნიო აღმასკომისა და პროფსაბჭოს გაერთიანებულ კრებას.

დელეგაციის თავმჯდომარემ ოფერჰაგენმა განაცხადა: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ რუსეთის მუშები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე გერმანიის, თუმცაღა უკანასკნელები უფრო მოწყობილ ბინებში სცხოვრობენ. ჩვენ სოციალ-დემოკრატები ვსცდებოდით, როცა ვამბობდით, რომ მშრომელებს შეუძლია ძალა-უფლება აიღონ ხელში პარლამენტის საშუალებით. ამის წინააღმდეგი საბუთია რუსეთის მშრომელთა მაგალითი.

მე მაკვირვებს ის, თუ როგორ სწერს კაუცკი (გერმანელი, მენშევიკური პარტიის ბელადი), რომ საბჭოთა კავშირში უფრო ცუდადა მოწყობილი ცხოვრება, ვინემ მეფის დროს იყოო. ჩვენ მოგვიხდება არა მარტო სიმართლის ლაპარაკი, არამედ მისი ცხოვრებაში გატარება მსოფლიო რევოლიუციის დაჩქარებისთვის“.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

## მამაკაცის გვამი კალათში.

ბათუმში, შავი ზღვის განაპირად 11 აგვისტოს ზღვამ გამოაგდო დიდი, საგანგებოდ შეხვეული კალათი. კალათში აღმოჩნდა ნაჯახით მოკლული მამაკაცის გვამი. იმავე დღეს სისხლისსამართლის მილიციამ დააპატიმრა ვინმე ბერუგოვსკი რომელიც გამოტყდა, რომ მკვლელობა მოახდინა მან მეჩექმე ზოხინის ამხანაგთან ერთად, რომელთანაც ისინი სწავლობდენ ხელობას.

## საქონლის ჭირი.

სოფელ ბანძაში გაჩნდა საქონლის ჭირი, რამაც მოჰკლა რამოდენიმე სული საქონელი. მიღებულია ზომები ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ.

## წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წერტები.

მომავალ სამოსწავლო წელში აჭარისტანის მთავარი პოლიტსამმართველო ადიდებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წერტებს 150-დი. ამას გარდა გახსნილ იქნება მაღალი ტიპის 7 სკოლა და შვიდიც წ. კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო.

# ᲐᲛᲮ. ᲙᲝᲢᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲑᲘᲠᲖᲣᲚᲐᲨᲘ.

11 აგვისტოს ადესიდან ბირზულისაკენ სამგლოვიაროდ მორთულ მატარებლით გასვენებულ იქნა ცხენოსან კორპუსის უფროსის ამხ. კოტოვსკის გვამი.

მატარებელს თან გაჰყვა რევსამხსაბჭოს, მთავრობის წევრები და აუარება დელეგაციები.



ამხ. ᲙᲝᲢᲝᲕᲡᲙᲘ.

უკანასკნელად ცხედართან საპატიო ყარაულად იდგენ ბუდიონი, ბუცენკო და ეგოროვი. საოლქო აღმასკომიდან ცხედარი გამოასვენეს წითელ არმიელებმა. სადგურზე გაიმართა გამოსათხოვარი მიტინგი, სადაც ილაპარაკეს ბუდიონიმ, ბუცენკომ, ეგოროვმა და სხვებმა.

ბირზულაში გვამის შესახვედრად თავს იყრის დიდძალი ხალხი.

სადგურ რაზდელნაიაზე კოტოვსკის ნეშტის შესახვედრად გაემგზავრა მოლდავიის მეორე სესიის წევრები სტარის მეთაურობით. 12 აგვისტოს დილით ბირზულაში მივიდა მატარებელი, რომელიც მორთული იყო სამგლოვიარო არშიებით.

ცხედარი დასვენებულ იქნა აღმასკომში.

ცხედართან სდგას საპატიო ყარაული მოლდავიის ცაკის წევრთაგან.

## მუხრუჭების გამოცდა.

სექტემბერში მოსკოვის კვანძის რკინისგზებზე და შემდეგ კავკასიის რკინისგზებზე მოხდება კაზანცევის საბჭოთა მუხრუჭისა და გერმანულ სისტემის კუნკისა და კნორეს მუხრუჭების გამოცდა.

გამოცდას დიდ მნიშვნელობას აძლევენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაშიც. გამოცდეზე მოელიან გერმანიის რკინის გზების წარმომადგენლს.

## მხეცის მიერ ადამიანის გატაცება.

კამარლიუმში (სომხეთში) გამოჩნდა გიენა (მტაცებელი მხეცი), რომელმაც მოიტაცა პატარა ქალი. გლეხები შიშით თავზარ დაცემული არიან. მიღებულია ზომები მხეცის დასაჭერად.

## უცხოეთის ავიაცია.

ახალი გამანადგურებელი.

იტალიის ერთ-ერთი ჟურნალის ცნობით ფოკკერმა შეადგინა გეგმა ახალი გამანადგურებელ-თვითმფრინავის. ამ გამანადგურებელ-თვითმფრინავს ექნება 1000 ცხენის ძალიანი მატორი და იქნება უძლიერესი დაუდიდესი თვითმფრინავი ქვეყანაზე (დღემდე არსებული გამანადგურებლების მატორების ძალა არ აღემატებოდა 500 ცხ. ძალას).

ფოკკერის თვითმფრინავს შეუძლია ზიდოს 500 კილოგრამი ბომბი. მასზედ მოწყობილი იქნება მთელი ბატარეია ტყვიამფრქვევების, რომლებიც ამოქმედდებიან დასაშვებზე მხოლოდ ერთი ხელის დაჭერით.

თვითმფრინავის სისწრაფე სრული დატვირთვის დროს მოსალოდნელია 290 კილომეტრი (დაახლოებით 280 ვერსი) საათში.

**გორდონ-ბენნეტი 1925 წ.**

გორდონსა და ბენნეტის შუა (ქალაქებია) ყოველ-წლიურად ხდება მფრინავთა საერთაშორისო შეჯიბრი. პირველი ადგილი ამ 1925 წ. შეჯიბრში დაიკავა ბელგიამ (ბელგია ოთხი წელიწადია ზედიზედ გამარჯვებული გამოდის ამ შეჯიბრიდან).

პირველი ჯილდო ამ უკანასკნელ შეჯიბრში მიიღო ვოენსტრამ (ბელგიელია) და არა ცნობილ ბელგიელ მფრინავმა დემიუიტერმა, რომელიც იმარჯვებდა წინა შეჯიბრებზე. დემიუიტერმა ამ ჯერად დაიკავა მეორე ადგილი.

შეჯიბრის მიღწევები შორს მანძილზე გაფრენის მხრივ შემდეგია: პირველი ადგილი დაიკავა ვოენსტრამ—1.345 კილომეტრი (კილ. ცოტათი ნაკლებია ვერსზე), მეორე ადგილი—დემიუიტერმა 666 ნახ. კილომ. და მესამე იტალიელ ვალლემ—596 კილომ.

**სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი (პირველობა).**

იტალიის სამხედრო საჰაერო ფლოტის ცნობილ მფრინავ ბერნარდიმ აიღო სისწრაფის მსოფლიო რეკორდი. გასაფრენი მანძილი უდრიდა 500 კილომ. თვითმფრინავის მუდმივი დატვირთვა—250 კილოგრ.

ბერნარდიმ გაიარა ეს მანძილი თვითმფრინავ-გამანადგურებელ ფიატზე, რომლის მატორი ძალა უდრიდა 300 ცხ. ძალას და განავითარა 251,2 კილომეტრ. სისწრაფე საათში.

მანამდე რეკორდი იყო 222 კილომ. და ეკუთვნოდა საფრანგეთს.

# Ს. Კ. Პ. [Ბ] ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ,

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.

ა. წ. სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დანიშნულია მე-2 ქართულ ტერიტორიალურ დივიზიის ცვალებად შემადგენლობის საერთო შეკრება. ცვალებად შემადგენლობის შესაკრებად ერთი თვის ვადით მოწვეული არიან რესპუბლიკის ორი ჰასაკის მოქალაქენი. საერთო შეკრების წინ, 5 დღით ადრე, მოწვეულ იქნება ტერიტორ. დივიზიის მ-ერ ცვალებადი პარტ-შემადგენლობა.

1. ამისათვის ყველა საოლქო და სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს ევალებათ ენერგიული დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივად სამხედრო ნაწილებს, როგორც მოწვევისთვის წინასწარ კამპანიის ჩატარებაში, აგრეთვე გამოწვევის დროსაც.

2. საჭიროა წინასწარ კამპანიის ჩატარებას მიეცეს ფართე ხასიათი, რათა მშრომელთა მოსახლეობა სისწორით გაეცნოს სამხედრო ტერიტორიალურ შეკრების მიზანს და დანიშნულებას.

3. ამ საქმისთვის გამოყენებული უნდა იქნას პრესა, აღნიშნულ საკითხების გასაშუქებლად, თათბირები, უჯრედების ღია კრებები სოფლად და ქალაქად, მათზე სათანადო მოხსენებების წაკითხვით და მშრომელთათვის ახსნა-განმარტების მიცემით.

4. გაწვევის დროს პარტორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ ცვალებადი შემადგენლობის გაცილება დროებით შესაკრებ წერტებზე, რისთვისაც იხელმძღვანელებთ სამხედრო ნაწილების მიერ ნაჩვენებ წესებით.

5. საერთოდ, სამხედრო ტერიტორიალური შეკრება საქართველოში პირველი ნაბიჯია და ამიტომ პარტ-ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ მას რაც შეიძლება მეტი ყურადღება.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი: **მ. ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐ.**

ცეკას საგიტ-საპროპ. განყ. გამგის მაგიერ **ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲔ.**

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

რა და რანაირია მანევრები.

მშვიდობიან დროს ყველა ჯარებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა მანევრებში. ეს აუცილებელი საჭიროა იმისთვის, რათა ფართე პრაქტიკა მიეცეს როგორც მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობას, ისე მეომრებს სალაშქრო—საბრძოლო სამსახურის ყოველ დარგში, და აგრეთვე შეისწავლონ ჯარებმა შეერთებული საველე მოქმედება ისეთ გარემოებაში, როგორშიაც მათ მოუხდებათ მოქმედება საბრძოლო პირობებში.

მანევრები ჯარების გამოცდაა და ამიტომ ჯარის ნაწილები ემზადებიან მანევრებისთვის ზამთრის პერიოდში (თეორიულად) და ზაფხულობით ბანაკებში (პრაქტიკულად). მანევრებზე ერთბაშად გადასვლა არ შეიძლება; ჯერ ტარდება ტაქტიკური მეცადინეობა (ერთმხრივი და ორმხრივი), ხოლო შემდეგ კი უკვე გადადიან მანევრების ჩატარებაზე. ყველა მანევრები იყოფიან მცირე და დიდ მანევრებად. რა არის მცირე მანევრები? ეს ისეთი მანევრებია, სადაც მანევრებში მონაწილეობისათვის შეკრებილი ჯარები ნაკლებია ერთ კორპუსზე. მცირე მანევრები ჩვეულებრივად ატარებდენ ტაქტიკურ ხასიათს.

დიდი მანევრები ეწოდება ისეთ მანევრებს, სადაც შეკრებილ ჯარების რიცხვი არის არა ნაკლები ერთი კორპუსის (კორპუსი იბრძვის კორპუსისა და არმია არმიის წინააღმდეგ).

დიდი მანევრები ჩვეულებრივად სტრატეგიული ოპერაციის ხასიათისაა. გარდა ამისა მანევრები იყოფა კიდე ერთმხრივად და ორმხრივად. ერთ მხრივი მანევრები, ანდა როგორც ჩვენ მას ჩვეულებრივად ვეძახით—ტაქტიკური მეცადინეობა ტარდება ორმხრივი მანევრების წინ; ამის მიზანია შეასწავლოს ჯარებს ადგილმდებარეობის შეფასება საბრძოლო მხრივ და მათით სარგებლობა როგორც შეტევის, ისე მოგერიების შემთხვევაში; გააცნოს ჯარებს ტაქტიკური ხერხი და ფორმები სამხედრო წესისა ადგილობრივ პირობებსა და ამოცანასთან შეფარდებით; შეასწავლოს ჯარებს სხვადასხვანაირ ადგილებში გავლა, დაბრკოლებათა ძლევა და სხვა.

ჩამოთვლილ სხვადასხვანაირ მანევრებიდან სჩანს, რომ ჩვენი არმიის მომავალი მანევრები იქნება მცირე ორმხრივი მანევრები, რომლებზედაც გადაიჭრება უმთავრესად ტაქტიკური ხასიათის ამოცანები. ხოლო რომ ეს მანევრები ნაყოფიერი გამოდგეს და სარგებლობა მოგვიტანოს, ამისთვის საჭიროა ეხლავე შევუდგეთ მზადებას, რაიც გამოიხატება იმაში, რომ თვითეულ მეომარს აუცილებლად უნდა ესმოდეს, როგორ უნდა იმოქმედოს ამ მანევრებზე.

ვ.

# ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ

## ოგზაურობა საშეფო სოფელში.

მე 4 ლეგიონი.

26 ივლისს მე-4 ლეგიონის -8 და მე-9 შეერთებული ეულების საშეფო კომისია გა-მგზავრა სოფელ №-ში. კო-ისიას უნდოდა გაეგო ადგილ-ბრივ თუ ამ მუშაობის დროს ასახის დახმარება იყო საჭირო-მრომელ გლეხობისათვის.

მოგზაურობის დროს გზაზე ეგვხდენ ჩვენი ძველი წვევამ-ელნი წითელ არმიელები. მათ იდათ გაუხარდათ ჩვენი ნახვა. აგვიწყეს გამოკითხვა თუ რო-ორ მეცადინეობენ 1902 წ. აბადებულნი წითელ არმიე-ები, სჯობნიან მათ თუ არა ა სხვა.

სოფლის ადგილობრივად და-ვალიერების შემდეგ გამოირ-ვა, რომ სოფელი დიდათ შე-უხებულია უგზობით და უწ-ლობით. უგზოობის გამო დი-ის ტანჯვით მიაქვთ ჭირნა-ული სახლში. წყლის მოტანა ხდებათ ძალიან შორი მანძი-იდან. არის სოფლის დაშო-ებით წყარო, საიდანაც მისი ამოყვანა შესაძლებელია, მარა ოფელს არ აქვს ამის საშუა-ლება.

საშეფო კომისიამ საჭიროდ სცნო ამ ორი დიდი ნაკლის გამოსწორება. საშეფო კომისია დაბრუნდა ნაწილში და გააკე-თა მოხსენება, თუ რა ესაჭი-როებოდა სოფელს. წითელ არ მიელებმა დიდის ყურადღებით მოისმინეს კომისიის მოხსენება და ერთხმად დაადგინეს საშე-ფო სოფლის დახმარება.

1 აგვისტოა. ორივე ასეუ-ლები მზად არიან სოფელში წასასვლელად. ყველას უხარია. ყველას დიდი სურვილი აქვს დაეხმაროს სოფელს.

დაიძრენ ასეულები. უკრა-ვენ დოლს, ისმის სიმღერები. სოფელში მიახლოვების დროს ასეულები დაეწყვენ მწყობრად. იჭექა რევოლიუციონურ სიმ-ღერებმა. მიძინებულმა სოფე-ლმა გამოიღვიძა. მთელი სო-ფელი წინ შემოგვეგება. მათ უკვირდათ, თუ რისთვის მოვი-და სოფელში ჯარი. როცა გა-იგეს ჩვენი მისვლის მიზეზი მათ სიხარულს საზღვარი არ ქონ-და. ასეულები ავყავით ჯგუ-ფებათ. ნაწილი ყანების დასა-მუშავებლად წავიდა, ნაწილი წყლის გამოყვანას და გზის შე-კეთებას შეუდგა. იმ დღეს ყო-ველივე საქმის რიგიანად გაკე-თება ვერ მოვასწარით, მაგრამ მეორე დღეს ყოველივე მოუ-თავებელი საქმე დავასრულეთ. გზები შეუკეთეთ და წყალი გამოუყვანეთ სოფელს. მუშა-ობის გათავების შემდეგ წავე-დით სოფელ №-ში საბავშვო სახლის დასათვალიერებლად. აქ ბავშვები დიდის ამბით შე-გვხვდენ. დავათვალიერეთ სა-ბავშვო სახლი. ბავშვები კარ-გად გამოიყურებიან. ისინი მე-ტად კმაყოფილნი არიან თავი-ანთ ცხოვრებით და მადლიერი არიან სახლის გამგის.

აქვე გავაკეთეთ მოხსენება და აუხსენით ჩვენი მისვლის მიზეზი სოფელში.

შემდეგ გამოდის წითელი არმიელი სუთიძე და მოუწო-დებს ბავშვებს ენერგიულ მე-ცადინეობისკენ.

გამოდიან ბავშვები და ამბო-ბენ სიტყვებს და ლექსებს.

ინტერნაციონალის სიმღე-რით და „ვაშას" ძახილით იგვა-ცილებენ ბავშვები სოფლის სა-ზღვრამდე.

სამხკორი ბალიაშვილი.

## მე-6 ლეგ. სანიტარულ გამოფე-ნაზე

კვირა დღეა. მზე უხვად ფენს თავის ნათელმყოფ სხი-ვებს ჩვენს ყაზარმას. წითელ არმიელები გამოფენილან ყაზა-რმის ეზოში და შეექცევიან ფეხბურთის თამაშს.

უეცრად ისმის ბუკის ხმა.

ვგროვდებით ყველანი. მორიგი მეთაური გვიცხადებს: ის უნდა ექსკურსიაზე წასვლა? ყველანი ერთხმად გაიძახიან: ყველას კი გვინდა თუ წაგვიყვანთ."

ცოტა ხნის შემდეგ სიმღერით გავეშურეთ ჯანმრთელო-ის განყოფილების სანიტარულ გამოფენის დასათვალიერებ-ლათ.

დაგვათვალიერებინეს ყველაფერი და თან გვიხსნიდენ ექი-ები თუ საიდან ჩნდება ჭლექი, სიფილისი, ტიფი და სხვა ვადმყოფობანი.

ნაწილში რაც ვისწავლეთ სანსათზე ის აქ ვნახეთ სუ-ათებში.

დათვალიერების შემდეგ ისევ მწყობრათ გამოვეშურეთ ითელ ყაზარმისაკენ. აქ ყაზარმაში ტერ არმიელები ერთმა-ეთს უზიარებდენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

—ეი ბიჭო, და მართლაც დაუფასებელია ეს ჩვენი ყა-არმა. რა გინდა, შვილოსა, განა ვიცოდი რამე რა არის ლექი ან მისი გამომწვევი მიზეზები.

—ეხლა კი ვიცი ყველაფერი. აწი მაინც გაუფრთხილდები ემს თავს. სიბინძურეს მაინც მოვსპობ ჩემს სახლში.

—რომ ჩავალ, ბიჭო სოფელში ხო პროფესორი ვეგონები ვენებს, როდესაც დაუწყებ ლაპარაკს ყოველივე აქ შე-ენილზე.

—მართლაც ბიჭო, და განა შეიძლება შედარება ძველ და ითელ ყაზარმის შორის. რა გინდა კაცო, გეუბნებიან ისწავ-ლე და ყველაფერი შენთვის არის: უფასოთ ფანქარი, რვეუ-ლი, მასწავლებელი, წიგნი პოლიტხელი და სხ.

კარგი იქნება ვინც ვერ მიიღო მონაწილეობა ექსკურ-იაზე, წაყვანილ იქნენ ცალკე, რაც ტერარმიელთათვის უსა-უოდ სასარგებლო იქნება.

სამხკორი მ. ვ.

## მუშაობა წინ მიიწევს.

მე-6 ლეგიონი.

აგვისტოს პირველ რიცხვე-ბში ჩვენს ათასეულს ეწვიენ ლეგთავი და სამხკომი. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ადგი-ლობრივ გაცნობოდენ ათასე-ულის მდგომარეობას:

გამოირკვიათ ტერარმიელების ცოდნა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში და სხვა.

გამოირკვა რომ ტერარმიელებმ ამ მოკლე დროს განმავლობა-ში ჩინებულად შეუთვისებიათ სამხედრო საქმე. შეუსწავლიათ ტყვიამფრქვევის, შაშხანის და სხვა იარაღების მოხმარა. პო-ლიტიკურ ცოდნაშიც ყოველი-ვე მოლოდინს გადააჭარბეს. უმრავლესობა ათასეულის წი-თელ არმიელებისა წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ. ბევრი მათგანი წინააღმდეგი იყო სწა-ვლისა და გაიძახოდენ: „ეშმა-კის ნასიარულებს გავს, ჩემს სი-ცოცხლეში რომ ვეცადო მაინც ვერ შევისწავლი წერასო". მა-გრამ მათ მალე შეიცვალეს თავისი აზრი. ჩვენ მოგვიხდა წერა-კითხვის უცოდინარების ხუთ ჯგუფად დაყოფა. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. პირ-ველ ოთხ ჯგუფმა პირველად არაფერი იცოდა, მაგრამ დღეს მათ შეუძლიათ ათასამდე ანგა-რიში და წერილის დაწერა, მეხუთე ჯგუფი, მართალია, ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ იმედი გვაქვს ამ მოკლე ხანში ისინიც არ ჩამორჩებიან სხვა ჯგუფის ტერარმიელებს.

მეცადინეობის გარდა, ტერ-არმიელებმა ბევრი სხვა რამეც გააკეთეს, როგორც მაგ. ღა-რიბ სოფლელების ყანების დამუშავება და სხვა.

ჩამოსული კომისია ათასე-ულის მუშაობით კმაყოფილი დარჩა.

დ. ჭანკვეტაძე.

## „რემედას"-ის ბიუროს მუშაობა გაყინულ წერტილზე.

მე-5 ლეგიონი.

ივლისის შუა რიცხვებში ჩვენს ლეგიონში ჩამოყალიბ-და „რემედას"-ის ბიურო. ბიუროში არჩეულია სამი წევრი და ორი კანდიდატი. ბიუროს დავალებული ქონდა კრების იერ „რემედას"-ის მნიშვნელობის გაშუქება წითელ-არმიე-ლთა მასაში და შემდეგ საწევრო გადასახადის შეკრება.

მაგრამ გადის დრო და ბიუროს მუშაობა ერთი წერტი-ლიდან არ იძვრევა. ის სრულებით არაფერს აკეთებს. ეხლა მედს გამოვსთქვამ, რომ შეიძლება გაზეთმა დასძრას ჩვენი უმოქმედო ბიურო გაყინულ წერტილიდან და დაიწყოს მუშაობა.

სამხკორი ახალციხელი.

# ᲒᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

1-ლ ლეგიონის ბატარეა.

პირველ ლეგიონის ბატარეის წითელ-არმიელების უმრა-ვლესობა ბატარეიაში მოსვლისას წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ეხლა ბ ტარეიაში არ არის არც ერთი ძველი წითელ-არმიელი, რომელსაც წერა-კითხვა არ შეესწავლოს.

ამხანაგები სხვა საგნებშიც კარგად მეცადინეობენ. გან-საკუთრებით ეხლა, უვადო შვებულებაში წასვლის დროს მოახლოების გამო, ბატარეის წითელ-არმიელები გაათკეცე-ბულ ენერგიით მეცადინეობენ. ასე რომ ბატარეია არ ჩამო-რჩება არც ერთ ნაწილს.

სამხკორი უტიე.

## ლექცია კოოპერაციაზე.

1-ლი ლეგიონი.

6 აგვისტოს ჩვენს ლეგიონში მოვიდა ამხ. ერქომაიშვი-ლი, რომელმაც წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „კოო-პერაცია და მისი მნიშვნელობა". ამხანაგ ერქომაიშვილის ლექცია მეტად პოპულიარული იყო, რამაც წითელ-არმიელე-ბზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამის შემდეგ ამხ. ერქომაიშვილმა დაწვრილებით აგვიხ-სნა, უვადო-შვებულებაში წასვლის შემდეგ თუ როგორ უნ-და ვიმუშაოთ სოფლის კოოპერატივებში. სასურველია ჩვენ წასვლამდე ასეთი შინაარსის ლექცია ჩატარდებოდეს რამო-დენიმეჯერ მაინც ჩვენთან.

სამხკორი გ. კოპალეიშვილი.

## „რემედას"-ის უჯრედი არ გვაქს.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ქართულ მსრ. ლეგიონის მეთაურთა სკოლაში თითქმის ყველანი „რემედას"-ის წევრებია და საწევრო წი-გნაკებიც გვაქვს. მაგრამ სამწუხაროდ „რემედას"-ის უჯრედი არ გვაქვს ჩამოყალიბებული. წიგნაკები დაგვირიგეს, მაგრამ შიგ არ წერია როდის ვართ შესული, ან რა გვაქვს გადახ-დილი. კრებაზე წითელ-არმიელები ხშირად მოითხოვენ „რემე-დას"-ის რწმუნებულის არჩევას, მაგრამ მათი მოთხოვნა რჩე-ბა მუდამ უყურადღებოდ.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ჩამოყალიბებულ იქნას ჩვენთან „რემედას"-ის უჯრედი.

ახკორი სიმართლის გუშაგი.

## ჩვენი კავშირი სოფელთან.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ბანაკად გასვლის შემდეგ სკოლამ დიდი ყურადღება მი-აქცია სოფლად კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობის საქმეს. მან ამ მიზნით გამოყო კურსან-ტები და მიამაგრა სოფლის პა-რტ—ორგანიზაციებს და საბ-ჭოებს.

მიმაგრებული ამხანაგები სი-სტემატიურად ესწრებიან მათ კრებებს, ატარებენ იქ საუბ-რებს სხვა და სხვა თემებზე და აძლევენ ახსნა განმარტებას ამა-თუ იმ საჭირ-ბოროტო სა-კითხებზე.

## არც ჩვენ გვძინავს.

მე-4 ლეგიონის მე-2 ათასეული.

ჩვენი ნაწილის მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა იწერება გაზე-თში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაფერს ვაკეთებდეთ.

ჩვენმა ათასეულმა ჯარის ნა-წილის სახე მიიღო თვენახევ-რის წინად, და მაშასადამე, თვენახევარია, რაც ჩვენ მუშა-ობას შევუდექით. ამხანაგებს შორის სრული შეთანხმებული მუშაობა სწარმოებს. გვაქვს კლუბი და მასთან დაარსებუ-ლია 4 წრე: პოლიტიკური, სამხკორთა, დრამატიული და მომღერალთა.

წერაკითხვის უცოდინარი ჩვენს ნაწილში ამ ჟამად უკვე აღარ არსებობს. ახალწვეულე-ბი წარმატებით გადიან აგრეთ-ვე სამხედრო საქმეს. ეწყობა კრებები, რომლებზედაც წი-თელ-არმიელები მხურვალე მო-ნაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა საკითხების გარჩევის დროს.

ვუსურვებთ ჩვენს ნორჩ ტერნაწილებს უაღრესად გან-ვითარებას და იმ იმედის გა-მართლებას, რომელსაც მას-ზე ამყარებს მშრომელი ხა-ლხი.

ქ. ხვერელი.

გლეხები კმაყოფილი არიან ასეთი საუბრებით, თანდათან უკვირდებიან ცხოვრებას, და რწმუნდებიან მასში, რომ საბ-ჭოთა ხელისუფლება როგორც მუშურ-გლეხური მთავრობა, განსაკუთრებით უმეტეს ყურა-დღებას აქცევს სოფლის მეურ-ნეობის აღორძინებას, ვინემ წარსული, ძველი მთავრობები აქცევდენ ყურადღებას ამ საქ-მეს.

აგრეთვე აყვანილი ყავს სკო-ლას თავის შეფობის ქვეშ სო-ფელი №, რომელსაც ეძლევა როგორც იდეური, ისე მატერი-ალური დახმარება.

ამ რამოდენიმე დღის წინ კომუჯრედის ხელმძღვანელო-ბით, სკოლის მთელი შემადგე-ნლობა გაემგზავრა საშეფო სოფელში სადაც, თან იქნა წაღებული სოფლისათვის ჟურ-ნალ-გაზეთები, და სხვა და სხვა ბროშურები. სოფელში წარ-მოთქმული იქნა სიტყვები და გადაცემული ლიტერატურა.

ამავე დღეს დადგმული იქნა წარმოდგენა. წარმოდგენას და-ესწრო დიდძალი ხალხი.

მეორეჯერ სკოლის ძალები-თვე სოფ. №-ში დადგმული იქნა ფასიანი წარმოდგენა სა-შეფო სოფლის სასარგებლოდ.

წარმოდგენიდან შემოსული ფული მთლიანად გადაეცა სო-ფელს.

კარგი იქნება ასეთ წარმო-დგენებს ხშირად გამართავდეს ჩვენი სკოლა.

სამხკორი მდივალიანი.

## ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ. ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

მიაწოდეთ კორესპონდენციები ჟურნალ „რემედას"-ს.

„რემედას"-ის საქართველოს ცეკა სცემს თავის სპეციალურ ჟურნალ „რემედას"-ს, რომე-ლიც გამოდის სისტემატიურად და ეგზავნება ნაწილებს გასავ-რცელებლათ. საჭიროა ამ ჟუ-რნალში მონაწილეობა მიიღონ სამხკორებმა ნაწილებში „რე-მედასი"-ს მუშაობის შესახებ წერილების მიწოდებით.

ამიტომ „რემედასი"-ს საქ. ცეკას დავალებით მე-2 დივ. კომიტეტი მოგმართავს მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა და მიაწოდოთ ჟურნალს წერილე-ბი „რემედასი"-ს მუშაობის გა-საშუქებლად ადგილებზე.

„რემედას"-ის მე-2 დ. კომიტე-ტის თავმჯდომარე

შ. ნუცუბიძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი უჯრედის საქმიანობა.

### 1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.

გავიდა თუ არა ჩვენი ნაწილი საბანაკოთ, ჩვენ ახკომკავშირის წევრები ვიქენით მიმაგრებული მე-4 რაიკომის მიერ წერითი დამხმარე ბიუროს უჯრედზე.

პირველ ხანებში ეს ორგანიზაცია, როგორც ახალი სუსტად მუშაობდა და წევრების რიცხვიც ძალიან ცოტა ყავდა.

მაგრამ ამ ორი თვის განმავლობაში მას გამოცოცხლება დაეტყო.

რაიკომმა მიამაგრა ახალი წევრები და შეავსო უჯრედი აქტიურ ძალებით.

ეხლა უჯრედი ძლიერია უჯრედმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა უპარტიო მასაში. კრებები ხდება ორ კვირაში ერთხელ, სადაც ირჩევა უჯრედის სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები. აგრეთვე ყოველ კვირაობით იმართება გაერთიანებული კრებები უპარტიოებთან ერთად. უჯრედის მდივანი ავალებს თითეულ კომკავშირის წევრს ამ კრებაზე მოხსენების გაკეთებას სხვა და სხვა თემებზე. ამას დიდი ნაყოფი მოაქვს იმით, რომ ყველა წევრები აქტიურ მუშაობას ეჩვევა.

11 აგვისტოს რაიკომიდან იყო გამოგზავნილი უჯრედის მუშაობის შესამოწმებლად სარევიზიო კომისია.

ყოველმხრივად უჯრედის მუშაობის გაცნობის შემდეგ კომისიამ უჯრედის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

წითელ-არმიელი **ნინუაკუთხელი.**

### 1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის კომუჯრედში.

9 აგვისტოს, შესდგა პირველ ლეგიონის სამნეო გუნდის კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ როგორც პარტიული ამხანაგები, ისე იპარტიო წითელ არმიელებიც. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. წასული კრების ოქმის დამტკიცება, 2. ჭიათურის შავი ქვის კონცესია და 3. მიმდინარე საკითხები.

წაკითხვის შემდეგ კრების მიერ ოქმი დამტკიცებულ იქნა. შავი ქვის კონცესიის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბუბაძემ, რომელმაც გააცნო კრებას თუ რა პირობებში გაიცა ჭიათურის შავი ქვა და თუ რა სარგებლობა უნდა მოუტანოს საბჭოთა კავშირს ამ კონცესიამ. მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია. მიმდინარე საკითხში ამხ. მარგიშვილი შეეხო კედლის გაზეთის მნიშვნელობას და მის სისტემატიურად გამოშვებას და მოუწოდა ამხანაგებს მიაწოდონ რედაქციის წერილები.

წ. არმ. **ნ. კახიანი.**

## ახკომკავშირელთა შორის.

### მე-5 ლეგიონი.

8 აგვისტოს შესდგა მე-5 ლეგიონის პირველ ათასეულის კომკავშირის უჯრედის კრება, კრებას დაესწრენ აგრეთვე უპარტიო ამხანაგებიც. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. კომკავშირის ცხოვრება და 2. დისციპლინის შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გეგეშიძემ, რომელმაც კარგად გაგვიშუქა კომკავშირის ცხოვრება და მისი ნაკლი

პარტ დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხაიძემ. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა, პარტიულ დისციპლინის ძალით დაისაჯოს ის ამხანაგები, რომლებიც კრებებს არ ესწრებიან.

სამხედრო **ახალციხელი.**

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მეთაურს, რომელსაც ყავს მამა მღვდელი და მიუხედავად თავის წლოვანებისა მსახურებს ერთ-ერთ ეკლესიაში და აქვს შემოსავალი, შეუძლია თუ არა მიიღოს თავის მამაზე და დედაზე საოჯახო ფული?

**პასუხი.** საოჯახო ულუფა ეკუთვნის სამხედრო მსახურთა იმ ოჯახის წევრებს, რომლებიც მათ რჩენაზე იმყოფებიან და შრომის უნარს არიან მოკლებულნი. ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად სამხედრო მსახურმა უნდა წარმოადგინოს მილიციის მიერ დამოწმებული მოწმობა. ასეთი მოწმობა თუ რაიმე ეჭვს არ იწვევს ნაწილის უფროსის მხრივ საკმარისია ულუფის ფულის მისაღებად, თუ ეჭვს იწვევს იმ შემთხვევაში მას შეუძლია გამოიძიოს ოჯახური მდგომარეობა.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წ. სამხედრო ბეგრის მოსახდელად. სახლში კაცი არ მყავს. დავტოვე დამუშავებული მიწა. მომეცემა თუ არა შეღავათები ჭირნახულის მოსაწევად?

**წითელი არმიელი.**

**პასუხი.** შეღავათებისთვის მიმართეთ თქვენს უშუალო უფროსს. ალმასკომმაც უნდა გაგიწიოს დახმარება.

**კითხვა.** მე ვმსახურებდი ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზოგადოებაში. 15 ივნისიდან გამიწვიეს სამხედრო სამსახურში სამი თვით. ჩემს შემდეგ ჩემს თანამოსამსახურეებს გამოუტანიათ მუშკოპიდან ნისიათ საქონელი ოთხი თვის ვადით, მე არ მომცეს. მეკუთვნოდა თუ არა?

**პასუხი.** არ გეკუთვნოდათ, რადგან თქვენ გინახებათ სამსახური უჯამაგიროდ. ვალს კი გადახდა უნდა. საიდან უნდა გადაეხადა დაწესებულებას თქვენი ვალი, როცა თქვენ ჯამაგირს არ ღებულობთ.

## ახალი ამბები.

— **პოლიტშემადგენლობის** მობილიზაციის ჩასატარებლად ტერნაწილებში წინასწარი თადარიგი უკვე დასრულდა. მობილიზაცია დაიწყება 15 აგვისტოდან.

— **წყაროს წყალი ტფილისში.** ბულაჩაურის წყაროს ტფილისში გამოყვანის საკითხი ტფილისის ალმასკომს გადააქვს სახკომსაბჭოში.

— **წითელი კუთხეები.** საქართ. პროფორგანიზაციებმა ჯერ-ჯერობით მოაწყვეს 104 წითელი კუთხე.

— **მუშათა სახლების აგება.** ტფილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მუშათა სახლების აგების საქმე გადასცეს საზ—ბა „სამშენს“.

— **სასროლ „ტირ“-ების** მოწყობის უფლება ტფილისის ალმასკომის დადგენილებით მიენიჭება მხოლოდ ფიზკულტურის საბჭოს.

— **მოზარდთა სახლი.** უმუშევარ მოზარდთა სახლში უკვე გაიხსნა სამი სახელოსნო: სადურგლო, კალათების საწნავი და ფეხსაცმელების სახელოსნო.

— **საქ. ცაკის დადგენილების** თანახმად მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი ამჟამად იმუშავებს დებულებას ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და გლეხებისათვის გადაცემის შესახებ.

— **მდ. რიონზე და მტკვარზე ნაოსნობის მოწყობის მიზნით** მფრინავმა ხეჩინოვმა შეადგინა პროექტი ახალი პატარა გემისა, რომელსაც შეეძლება მდინარე რიონზე და მტკვარზე მუშაობა.

— **ტრაქტორები მოძრავ მანქანების მაგიერ.** ამ.-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეუკვეთა საზღვარგარეთ ისეთი ტრაქტორები, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან აგრეთვე მოძრავ მანქანების მაგიერ (მაგალითად წისქვილის დაბრუნება და სხვა).

## ამბები სოფლებიდან.

**ბარიტის ამოღება.**

ლეჩხუმის მაზრაში ბარიტის მადნებთან ეწყობა მადნის სარეცხი აუზები.

**საბიბლიოთეკო მუშაკების მომზადება.**

ლეჩხუმის ალმასკომმა გაგზავნა ტფილისში ყველა კოხსამკითხველოების გამგეები კურსებზე.

**კრამიტის ქარხანა.**

რაჭის სამაზრო ალმასკომმა ნება დართო კერძო მოიჯარადრეს ააშენოს კრამიტის ქარხანა სოფელ ჩორჯოს ახლოს.

**ახალი გზა-ტკეცილი.**

რაჭის სამაზრო ალმასკომს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს ახალი გზა-ტკეცილი ხარისთვალიდან დაპა ქრებალომდე.

**აგარაკებზე გაგზავნა.**

ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გაგზავნა აგარაკებზე 30 ომის და შრომაში დასახიჩრებული.

**სასოფლო-სამეურნეო სკოლა არაშენდაში.**

მომავალ სამოსწავლო წლიდან სოფ. არაშენდაში იხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლის 1-ლი ჯგუფი 24 მოწაფისათვის.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი სახის ავტომო-ბილი.

ინჟენერ სვეჩკინის ხელმძღვანელობით გზათა კომისარიატში შემუშავებულია პროექტი (გეგმა) ე. წ. აერომობილისა, რომლის მატორს მოჰყავს მოძრაობაში მის უკანა ნაწილში მოთავსებული პროპელერი.

ეს მანქანა აღმოჩნდა მეტად ძლიერი, მრავალ დაბრკოლებათა გადამლახველი და თან ეკონომიური.

80 ცხენის ძალიან მატორით პროპელერი ანვითარებს ისეთ დაწოლას, რომ აერომობილი მოძრაობს შარა გზაზე 100-დან 150 ვერსამდე სისწრაფით საათში.

სილიან და ჭაობიან ადგილებში ის მოძრაობს 30—40 ვერს საათში და თან მიაქვს 60 ფუთი ტვირთი.

თოვლით დაფარულ ადგილებში, როგორი ღრმა და რბილი არ იყოს თოვლი ის ანვითარებს საათში 80—90 ვერსს და თითქმის არ ეფლობა თოვლში.

ახალი მანქანა შესაძლებელს ხდის ტვირთისა და მგზავრების გადაყვანას ყოველგვარ გზებზე წლის ყოველ დროში.

**ავტომობილი-გიგანტი.**

ლონდონში ეხლა შენდება უზარმაზარი ავტომობილი ინგლისის გამოჩენილ ავტომობილისტ—მორბენალ — კემბელისათვის.

ეს ავტომობილი იქნება ყველაზე უძლიერესი დღემდე არსებულ ავტომობილებიდან.

როცა გასულ წელს კემბელმა აიღო სისწრაფის მსოფლიო პირველობა 235 კილომეტრი საათში მან განაცხადა, რომ ახლო მომავალში ის მოწადინებულია გაადიდოს ეს სისწრაფე 300 კილომეტრამდე (კილომეტრი უდრის 467 საჟენს).

სპეციალისტები, რომლებიც აშენებენ ამ ავტომობილს აცხადებენ, რომ თეორიული გამოანგარიშების თანახმად მატორს შეეძლება 2.500 ჯერ დატრიალდეს ერთი წამის განმავლობაში და ექნება 700 ცხენის ძალა, რაიც მისცემს მას საშუალებას განავითაროს 325 კილომეტრის (დაახლოებით 300 ვერსი) სისწრაფე საათში.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული რეზინის შინებს, რომლებიც დამზადებული იქნებიან განსაკუთრებულად და მიმაგრებული იქნებიან სპეციალურად მისთვის დამზადებულ საგანგებო ბანდაჟებით.

თითეული ოთხ ბორბალთაგანს ექნება ვესტინჰაუზის ტორმაზი (დაჭინთულ ჰაერით მომქმედი).

## ნარევი.

### ძველი ტაძრის დაღუპვა.

ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბების დროს, სიჩუანის პროვინციაში დაიწვა მთელ სწავლულთა შორის ცნობილი და განთქმული ტაძარი ერვან-მია. ეს ტაძარი წარმოადგენდა ძველი მონღოლური შემოქმედების ნიმუშს და აშენებული იყო 500 წ. წინედ ქრ. დაბადებამდე. ამ ტაძრის ყველა გალერეები აშენებული იყო თლილი [illegible] ლოს ძვლებისაგან და შელამაზებული იყო მეტად თხელი ემალით.

ცეცხლში დაიღუპა ბუდდას ოქროდან გაკეთებული ქანდაკება (ბუდდა ჩინელების წინასწარმეტყველი და ღმერთია).

**„ლუზიტანიის“ ამოღება.**

რამოდენიმე წელია რაც ამერიკის ინჟენ. იმუშავებენ გეგმას „ლუზიტანიის“ ამოსაღებად ოკეანის ძირიდან („ლუზიტანია“ იყო უზარმაზარი გემი, რომელიც დაიღუპა მსოფლიო ომის დროს).

სხვა განძეულობასთან ერთად გემზე იყო აგრეთვე 8 მილ. დოლარის ოქრო. ამიტომ მთელი ქვეყნის ინჟენერები უგზავნიან შეერთებულ შტატების მთავრობას პროექტებს (გეგმებს) გემის ამოღების შესახებ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე ალალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითელაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ჭყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კიკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო, თელავის მაზრა, 11. აფრიაშვილი სერგო, თელავის მაზრა, 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოს წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ჯავახოვი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.